



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 486/ს  
26/09/2023

486-21-4-202309261053



### **ქ. რუსთავში შპს „ელბა ექსპორტის“ კირისა და კომბინირებული სასუქის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ**

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ელბა ექსპორტის“ (ს/კ - 405247834) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 5 აპრილს (წერილი N2917) წარმოდგენილია ქ. რუსთავში, კირისა და კომბინირებული სასუქის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N170/ს 13.04.2023) შექმნა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება. წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „ელბა ექსპორტის“ კონსულტანტების მიერ.

2022 წლის 9 სექტემბერს შპს „ელბა ექსპორტის“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი იყო ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სააგენტოს მიერ, სკოპინგის პროცედურის შესაბამისად, განსაზღვრული იქნა გზმ-ისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და ამ ინფორმაციის გზმ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებები (სკოპინგის დასკვნა N62; ბრძანება N 418/ს 25/10/2022).

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/4601; 15.06.2023), შპს „ელბა ექსპორტმა“ სააგენტოში წარმოადგინა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია (წერილი N7768; 11.08.2023), რომლითაც დაზუსტდა წარმოდგენილი დოკუმენტის მომამზადებელი, სასუქების წარმოების ტექნოლოგიის ეტაპები და ასპირაციული სისტემით აღჭურვილი უბნის საკითხი, ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული ნედლეულის, მათ შორის, აღნიშნული ნედლეულის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, დაზუსტდა არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებები და წარმოდგენილ იქნა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების რედაქტირებული პროექტი. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისათვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა. ზემოაღნიშნული საკითხები აგრეთვე განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N414/ს; 18.08.2023).

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „ელბა ექსპორტის“ მიერ ქ. რუსთავში დაგეგმილია კირისა და კომბინირებული სასუქის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია და წლის განმავლობაში

86400 ტ კომბინირებული სასუქისა და 45000 ტ კირის წარმოება. საწარმოს მოწყობის სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 6 თვე, რომლის დროსაც დასაქმებული იქნება დაახლოებით 40 ადამიანი, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმო იმუშავებს წელიწადში 300 დღე 24-საათიანი სამუშაო გრაფიკით და დასაქმებული იქნება 150 ადამიანი.

გზმ-ის ანგარიშში განხილული და შეფასებულია პროექტის ალტერნატიული ვარიანტები, მათ შორის, არაქმედების, ტერიტორიის/ტექნოლოგიური, ალტერნატივები. დოკუმენტის თანახმად, საწარმოს მოწყობა განპირობებულია საბაზრო მოთხოვნის ზრდით და იგი დაკავშირებული იქნება ადგილობრივი პროდუქტის შექმნასთან, მოსახლეობის დასაქმებასა და ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის დამატებით შემოსავლებთან. ამავდროულად, დოკუმენტის თანახმად, ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ საწარმოს მოწყობა გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება და მისი განხორციელება გაცილებით მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს იქონიებს, ვიდრე არაქმედების ალტერნატივა.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, პროექტის განსახორციელებლად განიხილებოდა ორი ალტერნატიული ტერიტორია, მშვიდობის ქუჩა N12 და ქ. რუსთავი, გოგოლის ქ. N2ა. ხოლო მიღებულ ვარიანტზე არჩევანის შეჩერება განაპირობა, მათ შორის, ტერიტორიის მოსახლეობიდან დაცილებამ, სატრანსპორტო მაგისტრალებსა და ინდუსტრიულ საწარმოებთან სიახლოვემ და სატრანსპორტო ოპერაციების დასახლებული პუნქტის გვერდის ავლით განხორციელების შესაძლებლობამ. აგრეთვე იმ გარემოებებმა, რომ საპროექტო ტერიტორია დაშორებულია ზედაპირული წყლისა და სხვა სენსიტიური ობიექტებისაგან, აგრეთვე, შესაძლებელია ყველა ინფრასტრუქტურის ერთ სივრცეში განთავსება, ხოლო ტერიტორიის სიახლოვეს მოქმედებს სარკინიგზო მაგისტრალი, რაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელს ხდის ლოჯისტიკაში ნაწილობრივ რკინიგზის ინფრასტრუქტურის ჩართვას.

ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან გზმ-ის ანგარიშში განხილულია კირის გადამუშავება მხოლოდ ნახშირით, ხოლო კომბინირებული სასუქის - ელექტრო სანთურებით. აგრეთვე, ასპირაციის სისტემებისთვის განხილულია ე.წ. „სკრუბერის“ ალტერნატივა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მხოლოდ ნახშირის ათვისება მნიშვნელოვნად გაზრდიდა საოპერაციო ხარჯებს, ხოლო ელექტრო სანთურების გამოყენება დაკავშირებული იქნებოდა წარმოებული პროდუქციის იმპორტთან შედარებით არაკონკურენტუნარიანობასთან. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ალტერნატივის სახით განხილული ასპირაციული სისტემა გაცილებით ნაკლებფექტურია შერჩეულ, სახელოებიანი ფილტრების ალტერნატივასთან შედარებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ელბა ექსპორტის“ მიერ პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია ქალაქ რუსთავში, მშვიდობის ქუჩა №12-ში ( ს/კ: N02.07.01.801), კომპანიის კუთვნილ 9245 მ<sup>2</sup> ფართობის არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X - 503508.77, Y - 4598756.83; X - 503577.04, Y - 4598804.39; X - 503640.75, Y - 4598717.75; X - 503572.58; Y - 4598667.35. უახლოესი მოსახლე საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 1700 მეტრით. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, დახლოებით 100 მეტრში განთავსებულია შპს „ავტომატიკას“ კუთვნილი უფუნქციო შენობა-ნაგებობა, აღმოსავლეთით, დაახლოებით 120 მეტრში - შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ რკინის სხმულების საწარმო; ტერიტორიის აღმოსავლეთით, 170 მეტრში განთავსებულია შპს „ჯეო ლედერის“ ტყავის საწარმო, რომელიც არ ფუნქციონირებს; ასევე აღმოსავლეთით, 450 მეტრში, მდებარეობს შპს „ქიმბოჭკოს“ ბაზალტის ძაფის მწარმოებელი

საწარმო. სამხრეთ-აღმოსავლეთით 400 მეტრში მდებარეობს შპს „მეტალ ინვესტის“ კუთვნილი შენობა-ნაგებობა, რომელიც არ ფუნქციონირებს; ხოლო დასავლეთით, 400 მეტრში - რკინიგზის ესტაკადა, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით 260 მეტრში ფუნქციონირებს შპს „პოლივიმი“. დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის განაპირა საზღვრიდან 500 მეტრის რადიუსში კირისა და კომბინირებული სასუქის მწარმოებელი სხვა საწარმოები არ ფიქსირდება. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ანთროპოგენურად სახეცვლილ ტერიტორიას და წარმოდგენილი არ არის მრავალწლიანი ხე-მცენარეები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროექტის ფარგლებში თავდაპირველად გათვალისწინებულია საწარმოსთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის მოწყობა, რისთვისაც განხორციელდება მოსამზადებელი სამუშაოები, მოეწყობა საძირკველი, კოლონები, კედლები და გადახურვის კოსტრუქცია. შენობის გადახურვის შემდგომ განხორციელდება მისი შიდა და გარე კეთილმოწყობა. აღნიშნული სამუშაოებისთვის გამოყენებული იქნება თვითმცვლელი, ექსკავატორი და ამწე. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი არ არის მუშა პერსონალისთვის ბანაკისა და ინფრასტრუქტურის, ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის სტაციონარული წყაროების განთავსება. სამუშაოების დაწყებამდე ტერიტორია შემოიღობება და მასზე განთავსებული იქნება სამი ერთეული კონტეინერი, რომელიც მოემსახურება დაცვის სამსახურს, სასაწყობე მეურნეობას და მუშა პერსონალს - ოფისის სახით. თავისუფალ ტერიტორიაზე მოეწყობა სამობილიზაციო მოედანი ტექნიკისთვის და სამშენებლო მასალებისთვის. სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება კვირაში 5 დღე, 8 საათიანი გრაფიკით, დაახლოებით 6 თვის განმავლობაში.

სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში თავდაპირველად გათვალისწინებულია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და კანონმდებლობის შესაბამისად დასაწყობება. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრე 5 სანტიმეტრს არ აღემატება და მისი მოხსნა იგეგმება დაახლოებით 6500 მ<sup>2</sup> ტერიტორიაზე. მოხსნილი ნიადაგი სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ გამოყენებული იქნება დაზიანებული უბნების აღდგენის მიზნით. დოკუმენტის თანახმად, ინფრასტრუქტურის უმეტესი ნაწილი ხიმინჯოვან საძირკვლებზე მოეწყობა, ვინაიდან შენობები ე.წ. „სენდვიჩ პანელის“ კონსტრუქციისაა. ასევე განხორციელდება მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა, გამწვანება, მისასვლელი გზებისა და ბილიკების მოწყობა. სამუშაოების დასრულების შემდეგ საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული იქნება კომბინირებული სასუქისა და კირის წარმოებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა.

კომბინირებული სასუქის საწარმოსთვის განკუთვნილი ძირითადი ინფრასტრუქტურა აერთიანებს სასუქების შენობას, ნედლეულის ბუნკერებს, დოზატორებს, წისქვილს, შემკრებ ბუნკერს, გამახურებელ (სიგრძე - 27 მ, დიამეტრი -2,5 მ, 31 ბრ/წმ), გრანულირებისა (სიგრძე - 15 მ, დიამეტრი -2,5 მ, 31 ბრ/წმ) და გაგრილების (სიგრძე - 9,5 მ, დიამეტრი -2,5 მ, 31 ბრ/წმ) დოლურებს, ვიბრაციულ საცერს, მზა პროდუქციის ბუნკერს, გოგირდმჟავას ავზს, სახელოებიანი ფილტრებით აღჭურვილ ასპირაციულ სისტემას, ამწე კოჭს ტელფერით, ტრანსპორტიორებს, გამწოვ მილებს, ვენტელატორებსა და მზა პროდუქციის ბუნკერს ტომრებში დაფასოების მოწყობილობით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კომბინირებული სასუქის წარმოების ხაზის წარმადობა შეადგენს 12 ტონას საათში და მასზე წლის განმავლობაში დაგეგმილია 6400 ტონა (NPK) კომბინირებული სასუქის წარმოება. კომბინირებული სასუქის ძირითად ინგრედიენტებს წარმოადგენს ფოსფორი და კალიუმი რომელიც იმპორტირებული იქნება

თურქეთის და ირანის რესპუბლიკებიდან, ხოლო სასუქი და თაბაშირის ფილერი შექმნილი იქნება ადგილობრივ ბაზარზე. კომპანია გეგმავს რამდენიმე სახეობის კომბინირებული სასუქის წარმოებას ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად: NPK 15-15-15 26; NPK 25-9-9; NPK 20-10-10; AMOFOSI (N-10%,P2O5-46%-48%)-8-20. აღნიშნული წარმოებისათვის ნედლეულის სახით გამოყენებული იქნება 17520 ტონა სასუქი (N), 15512 ტონა P2O5 (ფოსფორი), 5512 ტონა K2O (კალიუმი) და 47856 ტონა თაბაშირის ფილერი. ანგარიშის თანახმად საწარმოში დაგეგმილი კირის წარმოების ნედლეულის არაკონდიციური მასა გამოყენებული იქნება სასუქის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში. გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოს მიერ წლის განმავლობაში წარმოებული კომბინირებული სასუქის საპროგნოზო მაჩვენებლებია: NPK 15-15-15 – 28000 ტონა; NPK 25-9-9 – 19200 ტონა; NPK 20-10-10 – 19200 ტონა, ხოლო AMOFOSI - 8-20 – 20000 ტონა.

კომბინირებული სასუქის წარმოების ხაზზე ნედლეულის შემოტანა განხორციელდება ბიგბეგებით, 25 ტ ტვირთამწეობის ავტოტრანსპორტის გამოყენებით. ნედლეული განთავსდება სასაწყობე ტერიტორიაზე, საიდანაც მიეწოდება ოთხ, 10მ<sup>3</sup> მოცულობის, დოზატორებით აღჭურვილ ბუნკერს, რომელთაგანაც ერთ-ერთი (ფილერისათვის განკუთვნილი) უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკური გოგირდმჟავის შესაშხურებლით, რომლის წარმადობა დღე-ღამის განმავლობაში შეადგენს 80 ლიტრს. დოზატორებიდან ნედლეული ტრანსპორტიორის დახმარებით გადაინაცვლებს წისქვილში, სადაც მოხდება ერთგვაროვანი მასის მიღება, ხოლო მიღებული მასა, ასევე ტრანსპორტიორის საშუალებით ჯერ მიეწოდება 10 მ<sup>3</sup> მოცულობის შუალედურ ბუნკერს, ხოლო შემდგომ გადაინაცვლებს გრანულირების დოლურაში, სადაც მოხდება მასის გუაშით დასველება, ფერის მიცემა და ფორმირება. ფორმირებული გრანულები გადაიტანება გამახურებელ და გამაგრილებელ დოლურებში, ხოლო შემდგომ გაიცრება ვიბროსაცერზე. საბოლოოდ, მიღებული კონდიციური გრანულები ჩაიყრება მზა პროდუქციის ბუნკერში, რის შემდგომაც გადაინაცვლებს დაფასობის ხაზზე და დაფასოვდება 50 კგ-იან პოლიეთილენის ტომრებში, ხოლო მსხვილი და წვრილი ფრაქციები დაბრუნდება საწარმოო პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოო პროცესის დროს ნედლეულში ხდება მჟავის დამატება და მიიღება მარილი. ამ დროს წარმოიქმნება ქაფი, რომლის დანიშნულებაც კომბინირებული სასუქის ელემენტებისთვის წებოვნობის ფუნქციის შემენა.

გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, კირის წარმოების ინფრასტრუქტურა მოიცავს რკინაბეტონის საყრდენზე განთავსებულ, 4 მ დიამეტრის მქონე ვერტიკალური შახტური ტიპის კირის ღუმელს, რომლის მოცულობა შეადგენს 130 მ<sup>3</sup>-ს (რაც საშუალებას იძლევა ღუმელმა მიიღოს 180 ტ ნედლეული), 36000 მმ და 19500 მმ ჩაყრის სიმაღლის მქონე სკიპებს, სახელოებიანი ფილტრებით აღჭურვილ ასპირაციულ სისტემას, გამწოვ მილს, ნედლეულისა და მზა პროდუქციის ბუნკერებს, გამანაწილებელს, ნამწვი აირების კონტროლის აპარატურას, ღია ესტაკადას (სიგრძე - 42 მ, სიგანე - 24 მ, ამწის რელსის თავის დონე - 10 მ, რელსების ღერძებს შორის მანძილი - 22,5 მ), წისქვილის შენობას, მბრუნავ საცერს (სიგრძე - 4,5 მ, დიამეტრი - 1,5 მ, 75 ბრ/წუთ), ტრანსპორტიორებს, ამწეს, კომპრესორსა და კამერა ტუმბოს. აგრეთვე 9 მ სიგრძისა და 2,5 მ სიმაღლის წისქვილს, წისქვილის მკვებავს, გამწოვ მილსა და ვენტილატორებს, წისქვილის ფილტრებს, ტრანსპორტიორებს, სასწორს, ადმინისტრაციულ შენობას, სატრანსფორმატოროს, სველ წერტილს, 10 მ<sup>3</sup> მოცულობის სახანძრო რეზერვუარსა და სასუნთქ სარქველს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კირის წარმოების ხაზზე დღე-ღამის განმავლობაში გათვალისწინებულია 150 ტ კირის წარმოება, რისთვისაც გამოყენებული იქნება დაახლოებით 250 ტ ნედლეული. საწარმოში გამოყენებული იქნება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კარიერიდან მოპოვებული კირქვის ათვისება, რომელიც საწარმოში შემოიტანება უკვე დამტკიცებული, 20-80 ფრაქციების სახით. კირის გამოწვა დაგეგმილია 1150-1200°C-ზე ბუნებრივი აირის ან ანტრაციტის გამოყენებით. ტექნოლოგიური პროცესის უზრუნველყოფისა და ნამწვი აირების გაწმენდის მიზნით დაგეგმილია ასპირაციული სისტემის მოწყობა, კერძოდ, მოწყობა სახელოებიანი ფილტრი, 99,8% ეფექტურობით. პროექტით, ასევე დაგეგმილია 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის დანერგვა.

კირის წარმოების ხაზზე თავდაპირველად განხორციელდება ნედლეულის შემოტანა 25 ტ ტვირთამწეობის ავტოტრანსპორტით, რომელიც ტერიტორიაზე აიწონება, რის შემდგომაც ნედლეულის ჩამოცლა განხორციელდება ღია ესტაკადის ქვეშ განთავსებულ ქვაბულში (სიგრძე - 23 მ, სიგანე - 19 მ, სიღრმე - 2 მ). ქვაბულიდან სპეციალურ მიმღებ ბუნკერში ნედლეულის მიწოდება განხორციელდება ამწე ტელფერის გამოყენებით, ხოლო ბუნკერიდან მასა ტრანსპორტორით გადაინაცვლებს მბრუნავ საცერში, საიდანაც არაკონდიციური მასა მოხვდება ავტომანქანის მარაზე, ხოლო კონდიციური მასა დასაწყობდება კვლავ ქვაბულში. არაკონდიციური მასა (მსხვილი ფრაქცია) ავტომანქანით გადაიტანება კომბინირებული სასუქის წარმოების ტექნოლოგიური შენობაში და გამოიყენება სასუქის ტექნოლოგიურ პროცესში, ხოლო დასაწყობებული კონდიციური მასა გადატანილი იქნება ნედლეულის ბუნკერებში. ბუნკერებიდან მასა გადაინაცვლებს დოზატორზე, შემდეგ სკიპში (წარმადობა - 800 კგ, ტვირთის ატანის სიმაღლე - 34 მ, დახრის კუთხე - 76 გრადუსი) და საბოლოოდ - ღუმელში. გამოწვის შემდგომ მზა პროდუქცია ღუმელიდან ტრანსპორტორის საშუალებით გადაინაცვლებს სკიპში, ხოლო შემდგომ - წისქვილის შენობაში, სადაც დაიყრება გამანაწილებელზე და სპეციალურ მიმღებ ბუნკერებში გადანაწილდება 3 ფრაქციად. საჭიროების შემთხვევაში მიღებული პროდუქტი გადატანილი იქნება ავტოტრანსპორტორზე რეალიზაციის მიზნით, ან გადაინაცვლებს წისქვილის მკვებაზე ბუნკერში და წისქვილში, საიდანაც კამერა ტუმბოს მეშვეობით განთავსდება მზა პროდუქციის ბუნკერში და შემდგომ, რეალიზაციისათვის - ავტომანქანებზე.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს როგორც მოწყობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე ძირითადი სატრანსპორტო ოპერაციები განხორციელდება ქ. რუსთავის დასახლებული პუნქტების გვერდის ავლით. მშენებლობის ეტაპზე საჭირო მასალების ტრანსპორტირება განხორციელდება რუსთავიდან ან თბილისიდან, გამარჯვება-რუსთავი-ჯანდარას საავტომობილო გზით და შემდგომ მშვიდობის ქუჩის გავლით და დღის განმავლობაში შესრულდება დაახლოებით 5-6 სატრანსპორტო ოპერაცია. ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოს ნედლეულით მომარაგება ძირითადად განხორციელდება იმავე მარშრუტით, მჭიდროდ დასახლებული პუნქტების გვერდის ავლით. კირის წარმოების პროცესისთვის დღეში საშუალოდ საჭირო იქნება 16-18 სატრანსპორტო ოპერაცია, ხოლო კომბინირებული სასუქის წარმოებისთვის საჭირო იქნება ჯამში 24 სატრანსპორტო ოპერაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში, ჯამში მოსალოდნელი იქნება დაახლოებით 42 სატრანსპორტო ოპერაცია, რაც საშუალოდ საათში 5-6 სატრანსპორტო ოპერაციას არ აღემატება. აგრეთვე, გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ვინაიდან კომპანია ღუმელის სარეზერვო კვებად განიხილავს ანტრაციტის გამოყენებასაც, ლოჯისტიკურ ჯაჭვში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სარკინიგზო გადაზიდვაც. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს განლაგებულია რკინიგზის ჩიხები და საჭიროების შემთხვევაში გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება იქნება საშუალო,

ხოლო დოკუმენტში წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით - ზომიერი.

გზმ-ის ანგარიშისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: არაორგანული მტვერი, ამონიუმის ნიტრატი, დიფოსფორპენტაოქსიდი, გოგირდმჟავა, კალიუმის ქლორიდი, აზოტის დიოქსიდი, ნახშირჟანგი, ჭვარტლი და გოგირდის დიოქსიდი. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროებია: შახტური ღუმელი, ნედლეულის მიღებისა და დასაწყობების უბნები, ნედლეულის ბუნკერებში ჩაყრის, დოზირების და სკიპებში ჩაყრის ადგილები. ასევე პროდუქციის (კირის) გადატვირთვა ბუნკერში, პროდუქციის (კირის) გაცრისას მისი ჩაყრა შესაბამის ბუნკერებში, კირის წვრილი ფრაქციის ტრანსპორტირება წისქვილში, კირის წვრილი ფრაქციის ჩაყრა წისქვილის მიმდებ ბუნკერში, კირის წვრილი ფრაქციის დაფქვა წისქვილში, დაფქვილი კირის ბუნკერში ჩატვირთვა, კირის ჩატვირთვა ავტოთვითმცლელებში, ნედლეულის მიმღები ბუნკერები, ნედლეულის დოზატორში ტრანსპორტირება ლენტური ტრანსპორტიორით, ნედლეულის ჩატვირთვა წისქვილში/დამაქუცმაცებელში, დაქუცმაცებული კაზმის ტრანსპორტირება ლენტური ტრანსპორტიორით შუალედურ ბუნკერში, ნედლეულის ჩატვირთვა გრანულატორში, გრანულირებული სასუქის ტრანსპორტირება საშრობ დოლურაში ლენტური ტრანსპორტიორით, საშრობი დოლურის გამახურებელი ღუმელი და გამაციებელი, გრანულირებული და გამომშრალი სასუქის ჩაყრა და გაცრა ვიბრაციულ საცერში, გაცრილი სასუქის ტრანსპორტირება წისქვილში ლენტური ტრანსპორტიორით, მზა პროდუქციის ბუნკერი, პროდუქციის დაფასოვება ტომრებში ან ბიგ-ბეგებში. გაბნევის ანგარიში შესრულებულია ობიექტის სრული სამუშაო დატვირთვის დროს, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები საწარმოს განთავსების 500 მ-ნი ნორმირებული ზონის საზღვარზე არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას (არაორგანული მტვერის კონცენტრაცია, ზდკ-ს წილი **0,57** მგ/მ<sup>3</sup>). ამდენად საწარმოს ფუნქციონირებისას მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები. ანგარიშის თანახმად, საწარმოში დაგეგმილია კირის წარმოებისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის დანერგვა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო საწარმოში წყლის გამოყენება დაგეგმილია სასმელ-სამეურნეო, საწარმოო და სახანძრო მიზნებისთვის. სასმელ-სამეურნეო წყლით საწარმოს მომარაგება განხორციელდება ქ. რუსთავის წყალმომარაგების სისტემიდან და წლის განმავლობაში გამოყენებული იქნება დაახლოებით 2025 მ<sup>3</sup> წყალი, ხოლო ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების (დაახლ. 1923.75 მ<sup>3</sup>/წელი) ჩაშვება გათვალისწინებულია ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემაში. საწარმოო მიზნებისათვის წყალი გამოყენებული იქნება ნედლეულის დასანამად, ხოლო ხანძარსაწინააღმდეგო სისტემისათვის, ჰიდრანტების ავარიული წყალმომარაგებისათვის, მოწყობილი იქნება 10 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი. ჯამურად, წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 2335 მ<sup>3</sup> ტექნიკური დანიშნულების წყლის გამოყენება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური

პროცესების სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს განთავსება დაგეგმილია სახეცვლილ, ტექნოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე, რომელიც არ არის მდიდარი მცენარეული საფარით. ტერიტორიის სიახლოვეს ხელოვნურადაა გაშენებული ხეები, რომელთა მოჭრაც პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი არ არის ცხოველთა ველური სახეობების საბინადრო ჰაბიტატები და ნაკვეთზე შესაძლოა მხოლოდ ურბანულ და ტექნოგენურ გარემოსთან ადაპტირებული სახეობების მოხვედრა. მშენებლობის ეტაპზე ცხოველთა სამყაროზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმუზაციის მიზნით, დოკუმენტში გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ხმაურის წარმოქმნასა და გავრცელებასთან დაკავშირებით. დოკუმენტის თანახმად, საწარმოს მოწყობის ეტაპზე ხმაურის წარმომქმნელ დანადგარებს წარმოადგენს ექსკავატორი, ამწე, თვითმცლელი და საწარმოო პროცესში ჩართული დანადგარები. აგრეთვე, ხმაური დაკავშირებული იქნება სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელებასთან. ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნა მოსალოდნელია ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისას, საწარმოო ხაზის ფუნქციონირებისას და სარემონტო სამუშაოებისას. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გამოთვლების თანახმად, ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროების ერთდროული მუშაობის შედეგად გამოწვეული ხმაურის მაქსიმალური ჯამური დონე (უარესი სცენარი) საწარმოს ტერიტორიაზე 88,6 დბა-ს შეადგენს, თუმცა, დაშორების მანძილიდან გამომდინარე, უახლოეს მოსახლესთან, საწარმოდან დაახლოებით 1700 მეტრში შეადგენს დაახლოებით 5,15 დბა-ს და არ გადააჭარბებს კანონით განსაზღვრულ დასაშვებ ნორმებს.

საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე წარმოიქმნება ექსკავირებული ფუჭი ქანები, რომლის საორიენტაციო მოცულობა შეადგენს 974 მ<sup>3</sup>-ს. აქედან ნაწილი, დაახლოებით 474 მ<sup>3</sup>, უკუყრილის სახით იქნება ათვისებული, ხოლო დანარჩენი გადაეცემა რუსთავის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოში უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება. საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე შესაბამის კონტეინერებში და ხელშეკრულების საფუძველზე პერიოდულად გატანილი იქნება ადგილობრივი მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიას. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ასპირაციულ სისტემაში დაჭერილი მტვერი დაბრუნდება საწარმოო ციკლში.

გზმ-ის ანგარიშში განხილულია კუმულაციური ზემოქმედების საკითხები და აღნიშნულია, რომ საპროექტო საწარმოს ტერიტორიიდან 500-მეტრიანი ნორმირებული ზონის ფარგლებში სხვა, ანალოგიური ტიპის საწარმო არ მდებარეობს და შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედების რისკები არ იქნება მნიშვნელოვანი.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია

განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფასა და ოფიციალურ ვებგვერდზე და საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 31 მაისს, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია შპს „ელბა ექსპორტის“, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის, რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ეკოკლუბი „ეკო side“-ის წარმომადგენლები და სამოქალაქო მოძრაობების „გავიგუდეთ“ და „ეკო ცენტრი“ წარმომადგენლები. საჯარო განხილვის მსვლელობისას გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით კითხვები დაისვა ქ. რუსთავის საკრებულოს წარმომადგენლისა და სამოქალაქო მოძრაობის „ეკო ცენტრი“ მიერ. დასმული შეკითხვები ეხებოდა საპროექტო საწარმოს მშენებლობის ვადებს, გაფრქვევის წყაროების რაოდენობას, ფილტრებისა და მონიტორინგის სისტემებისა და საწარმოო პროცესში ანტრაციტის გამოყენების საკითხს. დასმულ შეკითხვებზე პასუხი გასცა შპს „ელბა ექსპორტის“ წარმომადგენელმა, რომელმაც განმარტა, რომ მშენებლობის დასრულება გათვალისწინებულია შესაბამისი ნებართვების მიღების შემდგომ, დაახლოებით 3 თვეში, ხოლო ობიექტზე იდენტიფიცირებულია გაფრქვევის 22 წყარო, რომელთაგანაც ძირითადი იქნება 3 წყარო, რომლებიც დაკავშირებული იქნება ასპირაციულ სისტემასთან. მონიტორინგის სისტემასთან დაკავშირებით კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გათვალისწინებულია უწყვეტი მონიტორინგის სისტემის გამოყენება კირის წარმოებისთვის, რასთან დაკავშირებული ინფორმაციაც წარმოდგენილია გზშ-ის ანგარიშში. მან ასევე განმარტა, რომ ანტრაციტის გამოყენება დაგეგმილია გაზის მიწოდების შეზღუდვის შემთხვევაში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოში გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

**აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის პირველი დანართის მე-8-ე პუნქტის 8.3 ქვეპუნქტისა და მეორე დანართის მე-5-ე პუნქტის 5.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „ელბა ექსპორტის“ კირისა და კომბინირებული სასუქის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ელბა ექსპორტმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების,



გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;

4. შპს „ელბა ექსპორტმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „ელბა ექსპორტმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს კირის გამოსაწვავი ღუმელის გაფრქვევის მილზე ნახშირბადის ოქსიდის, აზოტის ოქსიდების, გოგირდის დიოქსიდის და მტვრის, ხოლო კირის დაფქვის წისქვილის ფილტრის გამოსავალზე მტვრის ორგანიზებული გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრა „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად;
6. იმ შემთხვევაში, თუ ფილერის/თაბაშირის წარმოება მოხდება ადგილზე კირის (CaO) და გოგირდმჟავის (H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>) კომბინირებით, შპს „ელბა ექსპორტმა“ უზრუნველყოს შესაბამისი ასპირაციული სისტემის მოწყობა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრა „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად. ამასთან უზრუნველყოს ფილერის/თაბაშირის ქიმიური შედგენილობის ლაბორატორიული კონტროლი და შესაბამისი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენა ექსპლუატაციის დაწყებიდან ექვსი თვის ვადაში;
7. შპს „ელბა ექსპორტმა“ ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები საწარმოს ტერიტორიაზე და საწარმოდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვრზე (მონიტორინგის სიხშირის, მონიტორინგის კომპონენტებისა და შედეგების წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით). მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს ასევე შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოების შესახებ ინფორმაცია და ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის UTM – X,Y კოორდინატები. მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
8. შპს „ელბა ექსპორტმა“ ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების კონკრეტული გეგმის შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც დამატებით გათვალისწინებული იქნება არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებები. შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

9. შპს „ელბა ექსპორტმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ერთი წლის ვადაში უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე/პერიმეტრზე გამწვანების ზოლის მოწყობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მისი მოვლა-პატრონობა;
10. შპს „ელბა ექსპორტმა“ საწარმოს მოწყობამდე უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება. ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მოთხოვნებისა და ვალდებულებების და სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
11. შპს „ელბა ექსპორტმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარებისა და აირმტვერდამჭერი სისტემის გამართულობაზე, ასევე ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხოების წესების დაცვაზე მუდმივი მონიტორინგის განხორციელება;
12. შპს „ელბა ექსპორტი“ ვალდებულია საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
13. შპს „ელბა ექსპორტმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
14. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ელბა ექსპორტს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
15. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ელბა ექსპორტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
16. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

